

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2020 წლის ანგარიში



შინაარსი

1. პროექტები	2
2. სტანდარტიზაცია.....	3-6
3. მეტეოლოგია.....	7-11
4. საერთაშორისო აქტივობები	12-15
5. ღონისძიებები.....	16





1. პროექტები

- მიმდინარეობს დაგეგმილი ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტის მოსამზადებელი პროცესი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შერჩეულ კონსორციუმთან კონტრაქტის გაფორმების სამუშაოები, პროექტის დაწყება დაგეგმილია 2021 წლის აპრილის თვეში.
- Covid19 პანდემიით შექმნილი გამოწვევების დაძლევაში ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისათვის სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტების ორგანოს (LVS) მიერ, კორპორაცია ტილდესთან (Tilde) ერთად შემუშავდა პროექტი „სტანდარტიზაცია, როგორც დამხმარე საშუალება საქართველოში COVID-19 პანდემიით გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე სწრაფი რეაგირებისათვის“. პროექტი მიზნად ისახავდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე არსებულ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას. პროექტი დაფინანსდა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ.



2. სტანდარტიზაცია

- საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ (sst.geostm.gov.ge) პლატფორმაზე განთავსდა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტის მიზნების შესრულებისათვის განკუთვნილი სტანდარტები, ასევე, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები.
- შეიქმნა სტანდარტიზაციის ახალი ტექნიკური კომიტეტი "გზები საავტომობილო და საგზაო მოძრაობის რეგულირება" (ტკ 8), განახლდა მოქმედი ტექნიკური კომიტეტების შემადგენლობა. გაიზარდა ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში ჩართული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების რაოდენობა.
- 2020 წლის 10 და 26 თებერვალს შედგა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის "მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები" (ტკ 5) წევრების სამუშაო შეხვედრა.
- საქართველოს სტანდარტების შემუშავების ხელშეწყობისა და საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2020 წლის თებერვალში დამტკიცდა საქართველოს სტანდარტების პროგრამა.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების (ტკ) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ (ტკ 2): სსტ ისო 45001:2018/2020 „შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სახელმძღვანელო მითითებებით შემდგომი გამოყენებისათვის“; „ისო 31000:2018/2020 - რისკის მენეჯმენტი - სახელმძღვანელო წესები“; „სსტ ისო 30405:2016/2020 - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი - პერსონალის შერჩევის სახელმძღვანელო წესები“; სსტ ისო/იეკ 17067:2013/2020 „შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის სერტიფიკაციის საფუძვლები და სახელმძღვანელოები პროდუქტის სერტიფიკაციის სქემებისათვის“; სსტ ისო/იეკ ტრ 17028:2017/2020 „შესაბამისობის შეფასება - სახელმძღვანელოები და მაგალითები მომსახურების სერტიფიკაციის სქემებისათვის“;
 - ✓ „სასურსათო პროდუქტების“ (ტკ 3): სსტ ისო 16140-1:2016/2020 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - მეთოდის დადასტურება/ვალიდაცია -ნაწილი 1: ტერმინთა განმარტებები“; სსტ ისო 16140-2:2016/2020 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია-მეთოდის დადასტურება/ვალიდაცია – ნაწილი 2: ალტერნატიული (კომერციული) მეთოდების დადასტურების/ვალიდაციის პროტოკოლი ეტალონური მეთოდის მიმართ“; სსტ ისო

22000:2018/2020 „სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სასურსათო ჯაჭვში მონაწილე ნებისმიერი ორგანიზაციისთვის“;

- ✓ „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ (ტკ 4): სსტ ისო 13009:2015/2020 „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურება - მოთხოვნები და რეკომენდაციები პლაჟის ოპერირებისთვის“; სსტ ისო 20488 : 2018/2020 „მომხმარებელთა შეფასებები ონლაინ რეჟიმში - მათი შეგროვების პრინციპები და მოთხოვნები, მოდერაცია და გამოქვეყნება“; სსტ ისო 21401 : 2018/2020 „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურება - საცხოვრებლების მოწყობის მდგრადი მენეჯმენტის სისტემა - მოთხოვნები“;
- ✓ „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ (ტკ 5): „სსტ ენ 149:2001+A1:2009/2020 - რესპირატორული დამცავი მოწყობილობები - ნაწილაკებისგან დამცავი მფილტრავი ნახევარნიღები მოთხოვნები, გამოცდა, მარკირება“; „სსტ ენ 14683:2019+AC:2019/ 2020 - სამედიცინო პირბადეები - მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები“; სსტ ენ 455-1:2020/2020 „სამედიცინო ხელთათმანები ერთჯერადი გამოყენებისთვის - ნაწილი 1: მოთხოვნები და გამოცდა ჰერმეტილობაზე“; სსტ ენ 455-2:2015/2020 „სამედიცინო ხელთათმანები ერთჯერადი გამოყენებისთვის - ნაწილი 2: მოთხოვნები და ფიზიკური მახასიათებლების გამოცდა“; სსტ ენ 455-3:2015/2020 „სამედიცინო ხელთათმანები ერთჯერადი გამოყენებისთვის - ნაწილი 3: მოთხოვნები და გამოცდები ბიოლოგიური შეფასებისთვის“; სსტ ენ 455-4:2009/2020 „სამედიცინო ხელთათმანები ერთჯერადი გამოყენებისთვის - ნაწილი 4: მოთხოვნები და გამოცდა შენახვის ვადის დადგენის მიზნით“; სსტ ისო 374-5:2016/2020 „სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანები - ნაწილი 5: ტერმინოლოგია და საექსპლოატაციო მოთხოვნები მიკროორგანიზმებით გამოწვეულ რისკებთან დაკავშირებით“ ქართულენოვანი ვერსიები.

- 2020 წლის განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 6 ნოტიფიკაცია, საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა 17 ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის სრული ტექსტი.
- 2020 წლის განმავლობაში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 145 ნოტიფიკაცია.




2020 წლის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 2 799 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 284;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 2 224;
- სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 271;
- სსტ ისო (ქართულენოვანი) -12;
- სსტ ენ (ქართულენოვანი) - 6
- უცხოური სტანდარტი -2.

დიაგრამა 1.


სულ 2799



2020 წლის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 445 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 197;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 18;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 128;
- სსტ (ეროვნული) - 9;
- სსტ ისო (ქართულენოვანი) – 66;
- სსტ ენ (ქართულენოვანი) – 4;
- ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოების (ASTM) სტანდარტები - 21;
- უცხოური სტანდარტი -2.
- საქართველოს სტანდარტი (ეროვნული) -1.

დიაგრამა 2.



3. მეტროლოგია

- 2020 წლის 12 თვის მდგომარეობით აქტიური სამუშაოების განხორციელების შედეგად მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 61 CMC ჩანაწერი. 2020 წელს აღიარებული და გამოქვეყნებული იქნა CMC ჩანაწერები შემდეგი მიმართულებით წნევის, (2 ახალი CMC), ტემპერატურული გაზომვების (22 ახალი და/ან გაუმჯობესებული CMC), სიგრძის (1 ახალი CMC), ელექტროგაზომვების (3 ახალი და/ან გაუმჯობესებული CMC) და მცირე მოცულობის (2 ახალი CMC) სფეროები. ამჟამად საერთაშორისო ექსპერტიზას გადის შემდეგი CMC ჩანაწერები ტენიანობის სფეროში (3 CMC).
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად 19 თებერვალს ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან; განხილულ იქნა 2020 წლის მიზნები ხარისხის სფეროში, წლიური შიდა აუდიტის გეგმა, ეტალონების დაკალიბრების პროგრამა, განყოფილებების წლიური ანგარიშები, შესრულებული სამუშაოების ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025 17025 ახალ ვერსიაზე გადასვლის მიზნით დამტკიცებული გარდამავალი პერიოდის გეგმის შესრულება.
- განხორციელდა სამუშაოები მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალ ვერსიაზე გადასვლისათვის. გადახედილი და განახლებული იქნა დაკალიბრების პროცედურებისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაცია ISO/IEC 17025 სტანდარტის ახალ ვერსიის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მოხდა საჭიროებისამებრ ახალი პროცედურების შემუშავება.
- სააგენტოს მიერ მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტში წარდგენილ იქნა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025 17025 ახალ ვერსიაზე გადასვლის მიზნით დამტკიცებული გარდამავალი პერიოდის გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნული ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის განახლებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციის გასაკეთებლად COOMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტში. აღნიშნული კომიტეტის შეხვედრა დაგეგმილია 2021 წლის პირველ კვარტალში, რის შემდეგაც დადასტურებული იქნება ISO/IEC 17025 17025 ახალ ვერსიაზე გადასვლა.



- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობს ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმებები, საერთაშორისო და ორმხრივი შედარებებში მონაწილეობა.
- 2020 წელს სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ იქნა ტენიანობის ერთეულის სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი (ტენიანობის ეტალონი სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა სააგენტოს გენერალური დირექტორის 27.01.2020 #6 განკარგულებით).
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის განმავლობაში შეძენილ იქნა შემდეგი ხელსაწყოები: გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის - თეოდოლიტი და მინის სკალა; რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის α და β გამოსხივების განმსაზღვრელი ხელსაწყო, რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისათვის - ელექტრომაგნიტური ველების მზომი ხელსაწყო, ელექტროგაზომვების განყოფილებისათვის - ნულ-ინდიკატორები, მექანიკის ეტალონური განყოფილებისათვის - დინამომეტული ქანჩგასაღებების საკალიბრებელი დანადგარი. დასრულებულია შესყიდვის პროცედურები და მიმდინარეობს მოწოდების ეტაპი შემდეგი აღჭურვილობისათვის: გეომეტრიული გაზომვების ეტალონური ლაბორატორიისთვის - ეტალონური კიდურა საზომების 3 ნომინალი.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის განყოფილებების ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია, გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები, შესაბამის ინსტიტუტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და სააგენტოს ეტალონები და სანიმუშო ხელსაწყოები დაკალიბრდა შესაბამის ორგანიზაციებში (გერმანია - PTB, ჩეხეთი - CMI, უკრაინა - UkrmetrtestStandard, ბელორუსი - BelGIM) დასაკალიბრებლად, დიდი ბრიტანეთი - NPL).
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების მიერ 2020 წლის განმავლობაში შესრულდა 129 162 დაკალირება, მათ შორის დამკვეთებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან დაკალიბრდა 25 ხელსაწყო. განყოფილების მიერ ასევე ჩატარდა ნიმუშის რადიაციული კვლევა – 41 ერთეული;
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილებაში ჩატარდა ფიზიკური ინვენტარიზაცია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლიცენზიის შესაბამისად, გაიგზავნა შესაბამისი ინფორმაცია ბირთვული და რადიაციული



უსაფრთხოების სააგენტოში (ანგარიშის მიწოდება ლიცენზიის შესაბამისად ხდება წელიწადში ორჯერ, GEOSTM-ის მიერ ანგარიშები გაიგზავნა 24.04.2020 წ. და 24.11.2020 წ).

- წარმატებით დასრულდა და ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს გამოცემაში „მეტროლოგია“ გამოქვეყნდა საერთაშორისო შედარებების საბოლოო ანგარიშები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების მონაწილეობით: წნევის სფეროში - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტსა და ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტს CMI შორის, ტენიანობის სფეროში - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტსა და გაერთიანებული სამეფოს ნაციონალურ ფიზიკურ ლაბორატორიას NPL შორის, მცირე მოცულობის (პიპეტების) სფეროში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტსა და პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტს IPQ შორის, ასევე ელექტროგაზომვების სფეროში COOMET-ის ეგიდით ჩატარებული შედარებები COOMET-ის პროექტი #695/UA/-a16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM- K5) ელექტრული სიმძლავრის ერთეულის ეროვნული ეტალონების საკვანძო შედარებები. ასევე დასრულდა გაზომვები პილოტური შედარების COOMET 775/RU/19 ფიქ-ქიმიური გაზომვების, კერძოდ კონდუქტომეტრიული გაზომვების სფეროში, სააგენტოს მიერ შესაბამისი ანგარიში წარდგენილია შედარების პილოტი ორგანიზაციისათვის.ამჟამად მიმდინარე, დასრულების ეტაპზე ან შეთანხმების სტადიაზეა შემდეგი შედარებები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სხვადასხვა ეტალონების მონაწილეობით: COOMET-ის თემა № 742/UA/18: „სიგრძის კიდურა საზომების ეტალონების შედარება სიგრძეთა დიაპაზონში 0,5 მმ-დან 100 მმ-მდე“; COOMET-ის პროექტი #624/GE/-a13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S19) „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“; COOMET-ის პროექტი #681/RU/16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S22) დენის ტრანსფორმატორების გაზომვების დამატებითი შედარებები; COOMET-ის პროექტი #802/UZ/20 მულტიმეტრის დაკალიბრების პილოტური შედარებები.სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება მონაწილეობს და ხშირ შემთხვევაში ასრულებს პილოტი, წამყვანი ინსტიტუტის ფუნქციას რეგიონალური მეტროლოგიის ორგანიზაციის COOMET-ის შედარებებში
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამის მიერ 2020 წლის მონაცემებით გაცემულია 2 დაკალიბრების სერტიფიკატი CIPM MRA ლოგოთი, მათ შორის დამკვეთისათვის აზერბეიჯანის რესპუბლიკიდან, სიგრძის ბ/კ კიდურა საზომების ნაკრებების დაკალიბრებისათვის გაზომვათა დიაპაზონში (0,5-100) მმ.




- გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა დაკალიბრების პროცედურები: GE/MI/01LP-7.2-26 „მიკრომეტრული შიგსაზომების დაკალიბრების პროცედურა“ - ვერსია 01; GE/MI/01LP-7.2-27 „საზომი მიკროსკოპების დაკალიბრების პროცედურა“ - ვერსია 01.
- სააგენტოს ფიზიკო-ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 დანერგვის შესაძლებლობის განხილვა. დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები სტანდარტული ნიმუშების დამზადების მიმართულების განვითარების მიზნით, პირველ ეტაპზე pH-მეტრის სფეროში. განყოფილებაში მიმდინარეობს ხსნარების მომზადების სამუშაოების სატესტო რეჟიმში, მათზე დაკვირვების მიზნით სტაბილურობისა და ჰომოგენურობის დასადგენად. აღნიშნულ საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მიმდინარე გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება ევროკავშირის ტვინინგ პროექტის ფარგლებში, რომელის დაწყებაც დაგეგმილია 2021 წლის პირველ კვარტალში.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების მიერ 2020 წლის მდგომარეობით ჩატარებულია 5 ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატის გამოცდა ფინანსთა მინისტრის № 994 ბრძანების: „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნების შესაბამისად.
- 2020 წლის განმავლობაში განსაკუთრებული გაიზარდა მოთხოვნა და დიდი რაოდენობის სამუშაოები ჩატარდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების მიერ დიდი სასწორების დაკალიბრების მიმართულებით, სოფლის მეურნეობის სექტორში აქტიური სამუშაო პერიოდიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აღსანიშნავია რთველის პერიოდში მოთხოვნის ზრდა.
- 2020 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია 9 ერთეული გაზომვის საშუალების ტიპი:
 - ✓ A1800 ელექტრული ენერჯის პირდაპირი ჩართვის სამფაზა მრიცხველი, ფირმა „Elster Rometrics SRL“ (რუმინეთი).
 - ✓ CD SD PLUS ცივი და ცხელი წყლის ერთჯავლიანი ფრთოვანა მრიცხველი, ფირმა „MADDALENA S.p.A.“ (იტალია).
 - ✓ CD ONE TRP ცივი და ცხელი წყლის ერთჯავლიანი ფრთოვანა მრიცხველი, ფირმა „MADDALENA S.p.A.“ (იტალია).



- ✓ წყლის ერთჯვლიანი მექანიკური მრიცხველები, ფირმა "Diehl Metering GmbH" (გერმანია).
 - ✓ "Delta" აირის როტაციული მრიცხველები, ფირმა "Itron GmbH". (გერმანია).
 - ✓ ЭКО НОМ СВ ტიპის მშრალი სვლის უნივერსალური წყლის მრიცხველი, ფირმა ООО "ДЮКС" რუსეთი. მშრალი სვლის ფრთოვანა უნივერსალური წყლის მრიცხველები, ООО "ЮКС" (რუსეთის ფედერაცია).
 - ✓ წყლის ფრთოვანა მრიცხველები, ფირმა „Минопль Знегосбержение“ (რუსეთის ფედერაცია).
 - ✓ ცივი და ცხელი წყლის ფრთოვანა მრიცხველები, ფირმა „МИРТЕК“ (რუსეთის ფედერაცია).
- სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები, რომელშიც ძირითადი მიმართულებები ხორციელდება გაზომვის საშუალებების ლეგალიზაციის სამსახურისა და მექანიკის ეტალონური განყოფილებების მიერ. 2020 წლის 12 თვის მდგომარეობით ჩატარებულია სულ 107 162 ერთეული გს დამოწმების აღიარების სამუშაოები, მათ შორის:
 - ✓ ელექტრო მრიცხველი - 127 9 ც.
 - ✓ აირის მრიცხველი - 85 801 ც.
 - ✓ წყლის მრიცხველი - 20 082 ც.

დიაგრამა 3.



4. საერთაშორისო აქტივობები

- 2020 წლის 25 - 27 მაისს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის გადაცემის CB&KT პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ტრენინგ კურსი BIPM-ის მონაცემთა ბაზების KCDB 2.0 ახალ ვერსიაზე გადასვლისა და გამოყენების შესახებ, ინგლისურ ენაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის 7 ექსპერტმა ეტალონური განყოფილებებიდან.
- 2020 წლის განმავლობაში (9 ივნისს, 8 ოქტომბერს) ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM ორგანიზებით მონაცემთა ბაზის KCDB 2.0 ტექნიკური მოდერნიზაციიდან გამომდინარე ჩატარდა ონლაინ ტრენინგ-კურსები CMC ჩანაწერების შექმნის თაობაზე ინგლისურ ენაზე, რომელშიც ასევე მიიღეს მონაწილეობა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა.
- 2020 წლის 16 ივლისს, გერმანული რეგიონალური პროექტის “Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus” ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: დაკალიბრებათაშორისი ინტერვალი, სტატისტიკური მეთოდები შედეგების ხარისხის უზრუნველყოფისას, შიდა აუდიტი, გადაწყვეტილების მიღების წესი, 17025:2017 ახალი ვერსიის მოთხოვნები ექსპერტი ირენა ფლოუდას მიერ. აღნიშნულ სემინარებში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა.
- სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ონლაინ კონფერენციებსა და სემინარებში. 2020 წლის 22 ივნისს გაიმართა ონლაინ შეხვედრა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO/ისო) ცენტრალური ოფისის წარმომადგენლებთან ახალი კორონა ვირუსის (covid 19) შედეგად სტანდარტიზაციის სფეროში არსებული გამოწვევებსა და დაძლევის გზებზე.
- 2020 წლის წლის 2 ივლისს, სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ისო/უნიდო (ISO/UNIDO) მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „COVID-19, Cybersecurity and Information Security Management (ISO/IEC 27001)“.



- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO/ისო) მიერ მიმდინარე წლის 24 სექტემბერს ორგანიზაციის წევრებისათვის გამართულ “ვირტუალურ სესიაში”.
- 2020 წლის 16 ნოემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO/WTO მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „Benefitting from the transparency framework of the WTO/TBT Agreement: the role of the NSB when holding the TBT enquiry point”.
- 2020 წლის 26 ნოემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის ა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ISO/UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „Managing Risk & Building Resilience“.
- 2020 წლის 9 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO/UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „business continuity management systems“.
- 2020 წლის 10 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „Ensuring Industrial Safety and Security in times of COVID-19 and beyond: Safety challenges“.
- 2020 წლის 11 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში თემაზე „Advancing the UN Sustainable Development Goals in a COVID-19 world”.
- 2020 წლის 25-27 თებერვალს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის TC 3.1 და ხარისხის ფორუმის სხდომებში, რომლებზეც COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუციების (NMI/DI) მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციები საერთაშორისო სტანდარტზე ISO/IEC 17025:2017 გადასვლის დასადასტურებლად. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა გერმანიაში, ქ. ბერლინში გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში PTB.
- Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის გამო მეტროლოგიის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ყველა ღონისძიება, სემინარი, ტრენინგი, კონფერენცია და გენერალური ასამბლეა 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა ონ-ლაინ რეჟიმში. BIPM ზომისა და წონის საერთაშორისო ორგანიზაციის მეტროლოგიის ინსტიტუტის



დირექტორების შეხვედრა (ნოემბერი 2020), საკანონმდებლო მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის OIML გენერალური ასამბლეა (ოქტომბერი 2020), მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაცია COOMET გენერალური ასამბლეა კომიტეტის სხდომა (სექტემბერი 2020), სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს შესაბამის ტექნიკური კომიტეტების სხდომებში: TC 1.5 „სიგრძე და კუთხე“ სხდომაში, TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ სხდომაში, TC 1.6 „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“, TC 1.10 „თერმომეტრია და თბოფიზიკა“, TC 1.2 „აკუსტიკა, უტრაბგერა, ვიბრაცია“, TC 1.9 „მაიონიზებული გამოსხივება“, TC 1.11 „დრო და სიხშირე“ ასევე სხვადასხვა მუშა ჯგუფების შეხვედრებში, სემინარებში, ონ-ლაინ ტრენინგებსა და კონფერენციებში.

- სააგენტოს ფიზიკური ეტალონური განყოფილების წარმომადგენლები საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034 : 2016 დანერგვისა და სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების წარმოების საკითხების შესწავლის მიზნით 2020 წლის 01 - 06 მარტს იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, ქ. ვოლფენში, გაზომვების და დაკალიბრების ცენტრ ZMK-ში. აღნიშნული სასწავლო ვიზიტი განხორციელდა გერმანიის რეგიონალური პროექტის "Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus" ფარგლებში. განხილულ იქნა pH-მეტრიის, კონდუქტომეტრიის და დენსიმეტრიის (სიმკვრივის გაზომვების) სტანდარტული ნიმუშების წარმოების და სერტიფიცირების საჭირო პროცედურული და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები. პროექტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა სიმკვრის გაზომვის მიმართულების განვითარება სააგენტოს ფიზიკური ეტალონურ განყოფილებაში. ამ მიზნით გერმანული მხარის მიერ მოხდება შესაბამისი ეტალონურია აღჭურვილობის შეძენა. შესაძენი აპარატურის ტექნიკური სპეციფიკაციები შეთანხმდა ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის. გერმანული მხარის მიერ დაწყებულია აპარატურის შესყიდვის პროცედურები, თუმცა COVID19-ით გამოწვეული სიტუაციისა და შეზღუდვების გამო პროცესი დაგეგმილზე მეტ ხანს გრძელდება.

- COVID19 პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო შექმნილი უკონტაქტო თერმომეტრების დაკალიბრების საჭიროების საპასუხოდ გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში დაიგეგმა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურისა და ტენიანობის ლაბორატორიის შესაძლებლობების გაფართოვება და ინფრაწითელი ლაზერული ე.წ. უკონტაქტო თერმომეტრების დასაკალიბრებელი ეტალონების შეძენა. ამ მიზნით გერმანული მხარის მიერ მოხდება შესაბამისი ეტალონურია აღჭურვილობის შეძენა. შესაძენი აპარატურის ტექნიკური სპეციფიკაციები





შეთანხმდა ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის. გერმანული მხარის მიერ აპარატურა შეძენილია, თუმცა COVID19-ით გამოწვეული სიტუაციისა და შეზღუდვების გამო მიწოდების პროცესი დაგეგმილზე მეტ ხანს გრძელდება.

- ინფრაწითელი ლაზერული ე.წ. უკონტაქტო თერმომეტრების დაკალიბრების მიმართულების განითარების მიზნით გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა ონ-ლაინ ვიდეო კონფერენციები და გაწეულ იქნა კონსულტაციები გერმანელი PTB-ის ექსპერტების მიერ. აღნიშნული ვიდეოკონფერენცია ჩატარდა 07.05.2020 წ. და 19.06.2020 წ. დაგეგმილია ასევე ტრენინგების ჩატარება აღნიშნული მიმართულებით, რომლის ჩატარების ფორმატი დაზუსტდება.



5. ღონისძიებები

- 2020 წლის 12 თვის მდგომარეობით აქტიური სამუშაოების განხორციელების შედეგად მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 61 CMC ჩანაწერი. 2020 წელს აღიარებული და გამოქვეყნებული იქნა CMC ჩანაწერები შემდეგი მიმართულებით წნევის, (2 ახალი CMC), ტემპერატურული გაზომვების (22 ახალი და/ან გაუმჯობესებული CMC), სიგრძის (1 ახალი CMC), ელექტროგაზომვების (3 ახალი და/ან გაუმჯობესებული CMC) და მცირე მოცულობის (2 ახალი CMC) სფეროები. ამჟამად საერთაშორისო ექსპერტიზას გადის შემდეგი CMC ჩანაწერები ტენიანობის სფეროში (3 CMC).
- 2020 წლის მდგომარეობით საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო აღიარება შენარჩუნებულია გაზომვების შემდეგ სფეროებში გეომეტრია, მასა, მცირე მოცულობა, წნევა, ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებული გამოსხივება.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიები განახლებულია 2 მიმართულებით: რადიოფიზიკის მიმართულებით - ელექტრომაგნიტური ველების გაზომვები და მექანიკური გაზომვების მიმართულებით - დინამომეტრიული ქანჩვასაღებების დაკალიბრების შესაძლებლობები.
- 2020 წლის დეკემბრის თვისათვის მიღებული სტანდარტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 18476 მდე სტანდარტს.
- სტანდარტების დეპარტამენტთან 2020 მდგომარეობით ფუნქციონირებს 8 ტექნიკური კომიტეტი .
- 2020 წელს დირექტივების დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები ქართული მხარის მიერ ასახული იქნა მომავალ ტვინინგ პროექტში.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლოს ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.gov.ge